

THE EVIDENCE OF THE PREACHING OF THE APOSTOL ANDREA IN THE GEORGIAN COUNTRY

სარწმუნო დადასტურება ანდრია მოციქულის ქართველთა
ქვეყანაში მოღვაწეობის თაობაზე

Bidzina Cholokasvhili

Doctor of History

Tbilisi, Georgia

ORCID ID : 0009-0032-3457-0303

(995) 591224703; bidzinaXXI@yahoo.com

Abstract

The paper aims to show two important facts to make sure the preaching of St. Andrea in Georgia.

According the historical sources, Aramean speaking St. Andrea while wandering in Georgia with the not hand made icon of the Virgin, stopped in the village **sakrisi** (in georgian means the wind), near the pagan temple, where, according the historical source, stood two idols of the Apollo and Artemis. He preached the Christianity there and with the force of the icon of Virgin he resurrected the dead son of the head of the region of Samcxre.

After this event, the name of the village **sakrisi** was changed with **sosangeti**.

The name of this populated area **sosangeti**, in the Greek sources is named as **susania**, which comes from name of the flower Lily, borrowed from (Aramean form **šoošanna/šwšanna**). As it is known, the lily a symbol of the virginity, for the Christians symbolises the spiritual world of the Virgin Mary.

As we think, the toponym **sosangeti** mentioned in the georgian chronicle, comes from the middle Persian, but its etymology might be the composite **sōsangeti** and is given in the dictionary with the component of the supposed composite **sōsan** [MacKenzie, 1986, p. 75] and **gyty** [gētīy] * [MacKenzie, 1986, p. 36; Farevashi, 2001, p. 220; Skærvø, 2007, p. 14]. So, we can say, that the meaning of **sosangeti** is the area of "sosana /lily. As it is known, the apostles were sent by Christ to tell to the pagan people the existence of the unknown world-the Heaven.

Thus, the area of **sosana** could be the name of the pure place, the place without the evil, the death and the sin. It is clear, that the place where is the not hand made icon of Virgin and the death was banished, is a place full with grace.

As I suppose, the toponym **sosangeti** denotes the place of the miracle of the icon of the Virgin and the toponym formed on the base of the pure, white lily/sossana.

The name of the place **sakrisi** were stood the the temple of the Artemis changes by the devoted people into the **sosangeti** the area of the symbol of the Virgin and the Greeks name it as **susania**.

We constat, that the name of the place where was seen the force of the Virgin, shows that in Georgia the terminology connected with the Christian sacramental knowledge, was introduced from the Aramean world by the person preached the Christianity.

At the same time, it is important to say, that for the Christians, the subject with the image of the saint, which connects mindly to the God, the **icon** (in Georgian **Khati**), absolutely unknown to the pagan Georgian world, in Aramean **khati**, means **my sister**. It seems, that that the term **khati** (icon) is the determinant word of the Saint represented on the icon, because the **icon** itself is a subject full with grace and the nature of the Saint.

To name the Virgin as a **my sister**, could be allowed by a person, which was very close to her, who respected the Virgin, who followed the Christianity and belonged to the first Christians. Such persons might be the apostols, which spoke in Aramean language.

All above told, is corresponding to the St. Andrea, who, according the Georgian church tradition, came to Georgia with the icon of the Virgin.

So, we think, that the name of the icon (**khati**), which connects mindly the person with the God, was introduced in the Georgian world by the Aramean speaking person and named **my sister** the term he named the Virgin, so the lexeme **khati** was known in Georgia from the period, when the icon of Virgin appeared in Georgia.

We constat, that the fact, that the subject connecting mindly the person with the saint in Georgia was named by the determinate word of the Virgin – **khati**, it is clear, that the first icon in Georgia was the icon of Virgin Mary.

Doubtless, while preaching in Georgia, St. Andrea named the place connected with the miracle of the icon of Virgin as **sosangeti**, the toponym /formed on the base of the pure white flower Lily /*sosana* and the fact, that the subject with the image of saint named as **khati**, makes clear the historical fact of the preaching of St. Andrea in Georgia in the period of Apostols.

Key words : Georgia, St. Andrea, Icon, Sosangeti

ბიძინა ჩოლოყაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
თბილისი, საქართველო

ORCID ID : 0009-0032-3457-0303

(995) 591224703; bidzinaXXI@yahoo.com

აბსტრაქტი

საისტორიო თხზულების თანახმად, ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატით ქართულენოვან სამყაროში მიმოსვლისას, არამეულენოვანი ანდრია მოციქული სოფელ **საქრისში** კერპთაყვანისმცემელთა ტაძრის სიახლოვეს დაბინავებულა, რომელ ტაძარშიც, ჟამთააღმწერელის ცნობით, არტემიდეს და აპოლონის კერპები მდგარა, სადაც ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანობა იქადაგა და ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალმოცილების შეწევნით, სამცხის მთავარს ვაჟიშვილი გაუცოცხლა, რომელ დასახლებულ პუნქტსაც **სოსანგეთი** ეწოდა, ნაცვლად მანამდე არსებული ტოპონიმისა **საქრისი**.

დასახლებული პუნქტის სახელწოდება **სოსანგეთი** ბერძნულენოვან წყაროებში მოიხსენიება, როგორც **სუსანია**, რომელიც მომდინარეობს შროშანად წოდებული ყვავილის ბერძნულში შესული არამეული ნასესხობისგან (არამეული ფორმა **šoošanna/šwšanna**).

მოგეხსენებათ, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სისპეტაკით გა-
მორჩეული თეთრი შრომანა ქრისტიანთათვის სიწმინდის, ქალწულობის
სიმბოლოა დამარადის ქალწული მარიამის სულიერსამყაროს განასახიერებს.

ვფიქრობთ, ქართულად შედგენილ მატთანეში წარმოდგენილი ტოპო-
ნიმი **სოსანგეთი** საშუალო სპარსულიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ
მისი ეტიმონი, ანუ ამოსავალი ფორმა უნდა იყოს კომპოზიტი **sōsangeti**,
რომელიც ლექსიკონებში წარმოდგენილია სავარაუდო კომპოზიტის
კომპონენტებით **sōsan** „სოსანა“ [MacKenzie, 1986, გვ. 75] და **gyty** [gētīy] *
„მატერიალურ სამყარო, მსოფლიო, წუთისოფელი“ [MacKenzie, 1986, გვ. 36;
Farevashi, 2001, გვ. 220; Skærvø, 2007, გვ. 14]. ასე რომ, **სოსანგეთი** > ***sōsangeti**-
ის მნიშვნელობად ივარაუდება „შრომანას/სოსანის სამყარო“.

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, ტოპონიმი **სოსანგეთი** „შრომანას
სამყაროს“ უნდა ნიშნავდეს. მოგეხსენებათ, მაცხოვარმა მოციქულები
წარგზავნა, რათა მათ წარმართებისათვის ეცნობებინათ, რომ არსებობს
მათთვის უცნობი სამყარო - სასუფეველი ღმრთისა.

ასეთნაირად, **შრომანას/სოსანას** სამყარო - სიწმინდის სიმბოლოს გა-
თვალისწინებით - **სოსანგეთი** იმგვარი ადგილის სახელწოდება უნდა იყოს,
სადაც აღარ ბატონობს არც ეშმაკი, არც ცოდვა და არც სიკვდილი. უეჭველია,
ისეთი სივრცე, სადაც ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი სუფევს და
სიკვდილი დაითრგუნა, ღმრთის მადლმოსილებით აღვსილი სამყაროა.

ამდენად, შესაძლებლად გვესახება ტოპონიმი **სოსანგეთი** ღმრთის-
მშობლის ხატის სასწაულებრივი ძალის გამოვლინების ადგილისათვის
მარადისქალწული მარიამის სიმბოლოს, სისპეტაკით გამორჩეული, თეთრი
შრომანას სამყაროს გამომხატველ ტოპონიმად მივიჩნიოთ.

ასე და ამრიგად, ადგილის სახელწოდება, სადაც არტემიდეს ტაძარი
მდებარეობდა **საქრისი**, ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალის
გამოვლინების შედეგად წმიდა მარიამის თაყვანისმცემელთა მიერ
იკვლება ქალწულობის სიმბოლოს - ყვავილ შრომანას ამსახველი სამყაროს
სახელწოდებით **სოსანგეთი**, რომელსაც ბერძნები თავის მხრივ **სუსანია**-ს
უწოდებდნენ.

ასეთნაირად, წმიდა მარიამის საღმრთო ძალის გამოვლინების ადგილის
სახელწოდების მიხედვით ირკვევა, რომ ქართულენოვან სამყაროში ქრის-
ტიანული სიწმინდის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიას არამეულენოვანი
სამყაროდან ქართველთა ქვეყანაში ქრისტიანული მოძღვრების საქადა-
გებლად მოღვაწე ქრისტეს რჯულის მიმდევარი ამკვიდრებს.

ამავდროულად, მნიშვნელოვნად გვესახება ის გარემოება, რომ ქრის-
ტიანთათვის, წმიდანის გამოსახულების საშუალებით ღმერთთან გონებით
მისაახლოებელი საგანი - **ხატი**, რომელიც სრულიად უცხო მოვლენა იყო
წარმართული ქართულენოვანი სამყაროსათვის, არამეულ ენაზე **khati** - **ჩემს**
და-ს ნიშნავს.

ამრიგად, საფიქრებელია, რომ ტერმინი **ხატი**, ხატზე გამოსახული
წმიდანის მსაზღვრელი სიტყვა იყოს, რადგანაც **ხატი** წმიდანის თვისების
გამომხატველი და მისი მადლით შემოსილი საგანია.

ღმრთისმშობლის **ჩემ და**-დ მოხსენიების უფლება თავისი თავისათვის,
მხოლოდ წმიდა მარიამის უახლოს პიროვნებას, მისდამი უაღრესი

პატივისცემით განმსჭვალულ, ქრისტეს სწავლების მიმდევარს შეეძლო ეწოდებინა ანუ პირველი თაობის ქრისტიანს. ასეთები კი არამეულ ენაზე მეტყველი მოციქულები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. ცხადია, ყოველივე თქმული ზედმიწევნით უნდა მიესადაგებოდეს საეკლესიო გადმოცემის თანახმად ქართულენოვან სამყაროში ღმრთისმშობლის ხატით მიმომავალ ანდრია პირველწოდებულს.

ასე რომ, ვფიქრობთ ღმერთთან გონებით მისაახლოებელ საგანს ქართულ ენაზე სახელი **ხატი** არამეულ ენაზე მეტყველი პიროვნების მიერ **ჩემი და** - მარადისქალწული მარიამის მოხსენიების შესაბამისად ეწოდა და ასეთნაირად, ლექსემა **ხატი** ღმერთთან გონებით მისაახლოებელი საგნის აღმნიშვნელ ტერმინად ღმრთისმშობლის ხატის ქართველთა ქვეყანაში მობრძანების პერიოდში უნდა დამკვიდრებულიყო ქართულ ენაში.

მაშასადამე, ვინაიდან, წმიდანთან გონებით მისაახლოებელ საგანს ქართულენოვან სამყაროში მოსახლე ქრისტიანებმა ღმრთისმშობლის მსაზღვრელი სიტყვა **ხატი** უწოდეს, ნათელია, რომ ქართველთა წინაპრები ხატს უწინარეს ყოვლისა წმიდა მარიამის ხატით ეზიარნენ. ამდენად, ცხადია, ჩვენს სამშობლოში ხატთაგან თავდაპირველად ღმრთისმშობლის ხატი მოუსვენებიათ.

უეჭველია, ანდრია მოციქულის ქართულენოვან სამყაროში მიმოსვლისას ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალის გამოვლინების ადგილის, ღმრთისმშობლის სიმბოლოს - ყვავილთა შორის სისპეტაკით გამორჩეული თეთრი შროშანას სამყაროდ მოაზრებული არეალის შესაბამისი ტოპონიმით **სოსანგეთი** მოხსენიება და მაცხოვრის ანდა წმიდანის გამოსახულების საშუალებით უზენაესთან გონებით მისაახლოებელი საგნის სახელწოდება ხატი არამეულ ენაზე მეტყველი ანდრია პირველწოდებულის ქართველთა ქვეყანაში მოციქულთა პერიოდში მოღვაწეობის ისტორიულ ფაქტს უნდა ასახავდეს.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, ანდრია მოციქული, ხატი, სოსანგეთი.

შესავალი

საეკლესიო გადმოცემის თანახმად, მაცხოვრის ამაღლებისას, სულიწმიდის გადმოსვლის მომდევნო ხანებში, ქართველთა ქვეყანა ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი ღმრთის ჩანაფიქრის შეაბამისად ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წილხვედრილი ქვეყნის დიდებით შეიმოსა.

ვინაიდან, საღმრთო განგებულებით დედა ღმრთისას იერუსალიმი არ უნდა დაეტოვებინა, ამიტომ მარადის ქალწულმა მარიამმა მოციქულ ანდრიას დაავალა მის ნაცვლად ის წასულიყო მის წილხვედრილ ქვეყანაში. რატომაც ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელმა სახეზე დადებით გამოსახა ხატი თვისი, რომელიც ანდრია პირველწოდებულს გადასცა, და მოციქულიც წმიდა მარიამის კურთხევით ღმრთისმშობლის წილხვედომილ ქვეყანაში საქადაგებლად ხელთუქმნელი ხატით გაემართა (ქართლის ცხოვრება, 1955: 38).

მას შემდგომ, რაც მოციქულებმა, თავიანთი მოძღვრის ბრძანების შესაბამისად, სამოციქულო მიმოსვლა წამოიწყეს, ცხადია, ისინი, რომლებიც

მახლობელი აღმოსავლეთის სიახლოვეს ქადაგებდნენ, ქართველთა უფლისწულების - ბარტომისა და ქართამის პაპას (ჩოლოყაშვილი, 2022:63-85), ქრისტიანთა მფარველ ოსროპენის მეფესაც მოინახულებდნენ, რომელთაც დიდი პატივისცემით ეგებებოდა მათი მოძღვრის მიერ განკურნებული ავგაროზი.

ქართულენოვან სამყაროში ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლის წარმოსაჩენად მკითხველის ყურადღებას მე-IX საუკუნეში მოღვაწე მონაზონ-ფილოსოფოსის, ნიკიტა პაფლაგონიელის მიერ შედგენილ ნაშრომზე შევაჩერებ, რომელიც XI საუკუნის დასაწყისში ეფთვიმე მთაწმინდელმა თარგმნა. პაფლაგონიელის თხზულებაში ჩაწერილი ანდრია მოციქულის მოღვაწეობის ამსახველი ინფორმაციის მემკვიდრეობისათვის გადასაცემად: «...[ანდრია] სამოსატიით წარვიდა და აღვიდა იერუსალჴმდ, რაითა ყოს პასეჴი წმიდისა დედოფლისა ღმრთისმშობელისა თანა და დაყო მუნ, ვიდრე მარტულიადმდე. შემდგომად მარტულიისა განვიდა კუალად საქმესა ქადაგებისასა და იყვნეს მის თანა მოგზაურ სჯმონ, რომელსა ეწოდა კანანელი და მატათა, რომელი იწოდა იუდაას წილ, და თადეოს. მიიწინეს უკუე ედესე ქალაქად, სადა-იგი დაშთა თადეოს ავგაროზ მთავრისა თანა, რომელისადაცა ჴელით უქმნელი იგი ხატი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი მასვე თადეოსსა პირველ მიერთუა. [და] რომლისაგან მეცსეულად მიიღო მთავარმან მან ჴორციელი სიმრთელე და სულიერი სარწმუნოება.

ხოლო დიდებული ანდრეა სხუათა მათ თანა მოვიდოდეს ქალაქითი-ქალაქად და სოფლითი-სოფლად. ასწავბდეს ერთა და იქმოდეს სასწაულთა და ესრეთ მოიწინეს ქუეყანად ქართლისა და ვიდრე მდინარედმდე ჴოროხისა დაუცხრომელად ქადაგებდეს სახელსა ღმრთისასა. და მერმე შთავიდეს სოსანგელთა სოფელსა. ხოლო მას ქუეყანასა მთავრობდა დღეთა მათ დედაკაცი ვინმე მთავარი, რომელსაცა ჴრწმენა ქადაგება მოციქულთად და მატათია სხუათა მათ თანა მოწაფეთა დაშთა მათ კერძოთა...» (ნიკიტა პაფლაგონიელი, 2008: 188-189).

რამდენადაც ინფორმაცია საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობის შესახებ მოციქულთა პერიოდის ცნობას არ ემყარება, ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა გაირკვეს, თუ რამდენად მართებულია თეზა ანდრია მოციქულის ქართულენოვან სამყაროში ქადაგების თაობაზე.

მეთოდი

კვლევა ემყარება ისტორიულ წერილობით წყაროებში მოცემული ცნობების შეჯერებას, ასევე ტოპონიმისა და ლინგვისტური მასალის კრიტიკულ გააზრებასა და განზოგადებას.

შედეგი

წერილობითი წყაროების დამოწმებით, ტოპონიმის და ლინგვისტური მონაცემების თანახმად უდავოა, მიუხედავად იმისა, რომ ანდრია პირველწოდებულის ქართულენოვან სამყაროში მოღვაწეობის თაობაზე მოციქულთა პერიოდის ცნობა არ გაგვაჩნია, წარმართული ღვთაების საპატივცემულოდ შერქმეული გეოგრაფიული ადგილის საქრისი-ს სახელწოდების, ქრის-

ტიანთათვის უმანკოებით და სიწმინდით გამორჩეული ღმრისმშობლის სიმბოლოს ამსახველი ტოპონიმით **სოსანგეთი**-თ ჩანაცვლება და ღმერთთან გონებით მისაახლებელი საგნის სიტყვა - **ხატი**-თ მოხსენიება იმდენად მნიშვნელოვნად გვესახება, რომ ქართულენოვანი სამყაროს მოსახლეობის ცნობიერებაში შესისლხორცებული, ღმერთთან მისაახლებელი ცნების აღმნიშვნელი ლექსემის ხსენება - სიტყვით **ხატი** და ასეთნაირად, სიტყვა **ხატი**-ს ქართულ ენაში დამკვიდრება ანდრია მოციქულის ქართულენოვან სამყაროში მოღვაწეობის ამსახველად გვესახება, რაც ყოველგვარ წერილობით უწყებას უნდა აღემატებოდეს.

მსჯელობა

„ჟამითი-ჟამად“ შედგენილი საისტორიო თხზულების „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატით ქართულენოვან სამყაროში მიმოსვლისას, მტკვრის ხეობისაკენ მიმავალი ანდრია მოციქული *«...წარმოემართა და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი, და პირისპირ საქრისი. და დაივანა ადგილსა ერთსა, სადა-იგი იყო ტაძარი საკერპო, რომელსა აწმველ-ეკლესია ეწოდების, და მას შინა იმსახურებოდეს კერპნი მათნი. ხოლო მთავრობდამაშინ დედაკაცივინმე ქურივი სამივარი, რომელსა ერთი ოდენ მე ესვა და ყოველი სასოება მისი მისსა მიმართ მოძრავობდა, და მას ოდენ ჟამსა მომკუდარ იყო...»* (ქართლის ცხოვრება, 1955: 39), იმავე ნაშრომში სხვა ადგილას, ამავე საკერპო ტაძართან დაკავშირებით, აღნიშნულია: *«...ხოლო იყო ქალაქსა მას შინა ბომონი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი, არტემი და აპოლონი...»* (ქართლის ცხოვრება, 1955: 41). დამოწმებული ფრაგმენტების მიხედვით ირკვევა, რომ ქართულენოვან სამყაროში, სახელდობრ, აწყვერში მისული ანდრია მოციქული დაბინავებულა კერპთაყვანისმცემელთა ტაძრის სიახლოვეს, რომელ ტაძარშიც, ჟამთააღმწერის ცნობით, არტემიდეს და აპოლონის კერპები მდგარა.

ვიდრე სიტყვას განვაგრძობდეთ, უწინარეს ყოვლისა იმის შესახებ, თუ რა ეწოდებოდა აწყვერს მაშინ, როდესაც ანდრია პირველწოდებული ამ დასახლებულ პუნქტში მივიდოდა. ციტირებული წინადადების მიხედვით ირკვევა, რომ აწყვერს, სანამ „აწყვერი“ დაერქმეოდა, ეწოდებოდა **სოსანგეთი** და იმავდროულად, ამავე ადგილს, **სოსანგეთი**-ს საპირისპიროდ, ანუ საწინააღმდეგოდ, **საქრისი** ერქვა. მავანმა შეიძლება იფიქროს, რომ ფრაზა: *«... მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი და პირისპირ საქრისი...»* იმაზე უნდა მიგვანიშნებდეს, რომ აწყვერის პირდაპირ საქრისი მდებარეობდაო, მაგრამ ასეთ შემთხვევაში, ჯერ ერთი, აზრობრივად სრულიად გაუმართლებელი უნდა იყოს, დასახლებული პუნქტის - აწყვერის, თავდაპირველი ტოპონიმის თაობაზე ინფორმაციის მოწოდებისას აწყვერის მოპირდაპირე ადგილის სახელწოდების წარმოჩენა და, მეორეც, ამისთანა აზრის გამომხატველ სიტყვათა წყობაში, წინადადების მაერთებელი „და“ კავშირი არ უნდა იყოს და ტოპონიმი **საქრისი** ნათესაობით ბრუნვას უნდა გამოხატავდეს. ხოლო, რამდენადაც წინადადებაში ტოპონიმი სახელობით ბრუნვაშია მოცემული და რაკი „და“ კავშირი, სწორედ, ციტირებულ სიტ-

ყვათა ჯგუფის გააზრების ჩვენ მიერ შემოთავაზებული ვერსიის კონტექსტში არ გვეხამუშება, ამდენად ვფიქრობთ, რომ ტექსტის ასეთი წაკითხვა ყოველმხრივ მართებულიად უნდა მივიჩნიოთ.

ამგვარად ირკვევა, რომ იმ დასახლებული პუნქტისთვის, რომელსაც ერთსა და იმავე დროს საქრისს და **სოსანგეთს** უწოდებდნენ, მოგვიანებით აწყვერი უწოდებიათ, ხოლო აწყვერამდე ამ პუნქტს თავდაპირველად **საქრისი** ეწოდებოდა, რომლისთვისაც მოგვიანებით **სოსანგეთი** დაურქმევიათ და ამიტომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი **საქრისი**-ს საპირისპიროდ ანუ საწინააღმდეგოდ **სოსანგეთ**-ს უწოდებდა და ამნაირად, ეს ადგილი ერთდროულად ზოგისთვის საქრისი იყო, ზოგიერთებისთვის კი - **სოსანგეთი**.

გამოდის რომ, ერთი და იმავე გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება, ერთი მხრივ **საქრისი** და, მეორე მხრივ, **სოსანგეთი**, მოგვიანებით შეიცვალა და „აწყვერი“ დაერქვა.

ნათქვამთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებაც გვმართებს, თუ რამ განაპირობა გეოგრაფიული ადგილის სახელწოდების ამდაგვარი ცვალებადობა.

კერპთაყვანისმცემელთა ტაძრის არტემიდესადმი თუ აპოლონისადმი მიკუთვნების განსასაზღვრავად, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ არტემიდე და აპოლონი ტყუპები არიან და მიუხედავად იმისა, ტაძარი არტემიდესადმია მიძღვნილი თუ აპოლონისადმი, ამ ორიდან ერთ-ერთის პატივსაცემად აგებულ ტაძრებში და-ძმა ზოგჯერ ერთადაც არიან წარმოდგენილნი. საქრისის ტაძრის კულტმსახურების წარმოსაჩენად, ერთ ფაქტს გაგახსენებთ: ტროას დასაპყრობად ზღვით მიმავალმა აგამემნონმა, ზურგის ქარის მოსაპოვებლად გადაწყვიტა ღვთაება არტემიდესათვის საკუთარი ქალიშვილი - იფიგენია შეეწირა, და თუ არა ბოლო მომენტში შესაწირავის სამსხვერპლო ცხოველით ჩანაცვლების აქტი, არტემიდესადმი იფიგენიას მსხვერპლშეწირვა უეჭველად აღსრულდებოდა.

რამდენადაც წარმართული კულტმსახურების სპეციფიკიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ქარიან ადგილას ტაძრის აღმართვა ღვთაების ბუნების შესაბამისად უნდა იყოს განპირობებული, ამდენად, ადგილის სახელწოდების თანახმად, საფიქრებელია, ტაძარი ქარის ძალმოსილებით აღვსილი კერპის პატივსაცემად იყოს აგებული. ამრიგად, ვინაიდან, კერპთაყვანისმცემლებს არტემიდეს და აპოლონის კერპები ქარიან ადგილას აგებულ ტაძარში დაუდგამთ, არ უნდა ვცდებოდე, თუ ვიტყვი, რომ ტაძარი არტემიდეს კულტის მსახურებასთან ყოფილა დაკავშირებული. გამოდის, რომ ატმოსფერული ქარის გავლენით, გარკვეული ადგილსათვის **საქრისი** შეურქმევიათ.

ამგვარად, ირკვევა, რომ ქალწულ არტემიდესადმი მიძღვნილი ტაძარი წარმართებს, თავიანთი კერპის პატივსაცემად ქარიან ადგილას გაუმართავთ.

შეგახსენებთ, რომ მირიან მეფის გაქრისტიანებამდე, მისი უდიდებულესობის სამფლობელოში სოფლისმპყრობელი ჰაერის სულით დაქროდა - «...და სუფევდა მას შინა სოფლისმპყრობელი იგი მთავარი, რომელი ქროდა ჰაერისა სულითა...» (მოქცევაჲ ქართლიაჲ 2009 : 336).

მოგეხსენებათ, ქარი - ჰაერის ძლიერი მოძრაობაა. ასეთნაირად, ქართულენოვან სამყაროში ატმოსფერული მოვლენის - ქარის, ქარიშხლის ძალმოსილების თაყვანისმცემელ წარმართებს არტემიდეს ტამარი ქარის ქროლვით გამორჩეულ სივრცეში დაუარსებიათ და იმ ადგილისათვის დამახასიათებელი გარემომცველი პირობების შესაბამისად **საქრისი** უწოდებიათ.

მაშ ასე, ვფიქრობთ, ტოპონიმი **საქრისი** სიტყვა „ქარი“-დან უნდა იყოს ნაწარმოები, ხოლო საქრისის სანაცვლოდ დამკვიდრებული ადგილის სახელწოდების - **სოსანგეთი**-ს სემანტიკის ამოსაცნობად, იმ ადგილის სახელწოდების მნიშვნელობის გასარკვევად, სადაც არამეულენოვანი ანდრია მოციქულის შემწეობით ღმრთისმშობლის ხატის ზებუნებრივი ძალმოსილება გამოვლინდა (ქართლის ცხოვრება, 1955 :41), მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ VIII საუკუნის მეორე ნახევარში, კონსტანტინეპოლის კალისტრატთა მონასტრის მონაზონის ეპიფანეს მიერ შედგენილ ნაშრომზე, სადაც ქართველთა ქვეყანაში ანდრია მოციქულის მოღვაწეობის წარმომჩენი ცნობაა ჩაწერილი: „...პენტეკოსტის (ესე იგი - სულიწმიდის მოფენის) შემდეგ ანდრია, სიმონ კანანელი, მათე და თადეოზი დარჩნენ იქ, აგვაროზთან; დანარჩენებმა კი მოიარეს ქალაქები, იქადაგეს, სასწაულები მოახდინეს და ჩავიდნენ იბერიაში და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუ(ს)ანიაში. ამ ტომის მამაკაცებს მბრძანებლობდნენ ქალები. ადვილად დამყოლია ქალის ბუნება, და მათაც მალე შეისმინეს. მათე მოწაფეებითურთ დარჩა იმ ქვეყნებში, ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა. ხოლო სიმონი და ანდრია ჩავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში, იმათ მრავალი სასწაული მოახდინეს იქ, მრავალი დამოდღერეს და ჩავიდნენ აბაზგიაში. დიდ სებასტოპოლში რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღმრთის სიტყვა...“ (ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, 1941:58). ციტირებული ნაწყვეტიდან ჩვენთვის ის ფაქტია საინტერესო, რომ ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ნაშრომში ჩაწერილი ინფორმაციის თანახმად, ანდრია პირველწოდებული ქართულენოვან სამყაროში მიმოსვლისას იმ ადგილას მისულა, რომელსაც მოსახლეობა **სუსანია**-ს უწოდებდა. ნურც ის გამოგვრჩება მხედველობიდან, რომ ბერძენი მემპტიანის ცნობით **სუსანია**-ში ქალები მბრძანებლობდნენ, ისევე როგორც ანდრია პირველწოდებულის სოსანგეთში მისვლისას ქვეყანას «...მთავრობდა მაშინ დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი...» (ქართლის ცხოვრება, 1955 : 39) და რაგვარადაც ნიკიტა პაფლაგონიელის ცნობითაც „... **სოსანგელთა სოფელში**...“ დედაკაცი მთავრობდა (ნიკიტა პაფლაგონიელი, 2008: 189). მაგრამ, თუკი ქართული საისტორიო წყაროს მიხედვით დედაკაცი იმიტომ განაგებს ქვეყანას, რადგან მისი თანამეცხედრე, ქვეყნის მთავარი, გარდაცვლილი ყოფილა, ბერძნულენოვან სამყაროში მოღვაწე მონაზონი ეპიფანე სუსანია-ში დედაკაცის მმართველობას ქართულენოვან სამყაროში არსებულ ტრადიციას მიაწერს. მიუხედავად სოსანგეთში გამოვლენილი გამგებლობის განსხვავებული ინტერპრეტაციისა ჩვენს ყურადღებას ის გარემოება იქცევს, რომ წერილობითი წყაროებით მოციქულთა პერიოდისათვის ქართულენოვან სამყაროში დაფიქსირებული ტოპონიმები სოსანგეთი, სუსანია და სოსანგელთა სოფელი ქვეყნის ისეთ მხარეშია დადასტურებული, სადაც დედაკაცი მთავრობს.

ეპიფანე მონაზონის ნაშრომში ჩაწერილი დასახლებული პუნქტის სახელწოდება **სუსანია** მომდინარეა ბერძნულში შესული არამეული ნასეს-ხოზისგან (არამეული ფორმა **šoošanna/šwšanna**), რომელიც ყვავილთა შორის სისპეტაკით გამორჩეული თეთრი შროშანას სახელწოდებაა. ამრიგად დამოწმებულ თხზულებაში ტოპონიმი სუსანია ფონეტიკურად გადასხვაფერებული სახით, ბერძნულ ყაიდაზეა წარმოჩენილი **Συσανία** [susania].

მოგეხსენებათ, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ სისპეტაკით გამორჩეული თეთრი შროშანა ქრისტიანთათვის სიწმინდის, ქალწულობის სიმბოლოა დამარადის ქალწული მარიამის სულიერ სამყაროს განსახიერებს.

შროშანას სახელწოდება ქართულენოვან სამყაროში არამეულთან ახლო მდგომი ფორმითაა დამკვიდრებული, ოღონდ ქართულ ვერსიაში **შ**-სა და **ო**-ს შორის **რ** ბგერა განვითარდა. **შროშანა** ქართულენოვანი სამყაროს პირველ ქრისტიანთა წიაღში ქრისტიანი ქალბატონის საკუთარ სახელადაც იყო გავრცელებული (ჩოლოყაშვილი, 2008: 48-55).

ამავდროულად ქართულში დასტურდება **შროშანას** პარალელური ფორმა **სოსანა**, რომელიც საშუალო სპარსულიდან უნდა მომდინარეობდეს (იხ. ქვემოთ). **შროშანასა** და **სოსანას** სინონიმურობას ადასტურებს სულხან-საბასეული განმარტება: **შროშანა** „სუსან, შუშან“ (ორბელიანი, 1993).

რაც შეეხება ტოპონიმ **სოსანგეთი**-ს სემანტიკას, თავდაპირველად იმას შეგახსენებთ, რომ ქართული წერილობითი წყაროს თანახმად, **სოსანგეთი** იმ ადგილს ეწოდა, სადაც არამეულენოვანმა ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანობა იქადაგა და ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალმოსილების შეწევნით, სამცხის მთავარს ვაჟიშვილი გაუცოცხლა «...*მიიქუა ჯელთა ხატი ყოვლად-წმიდისა ღვთისმშობელისა, და დაასვენა ცხედარსა მას ზედა, სადა იდგა ყრმა იგი. და იწყო ლოცვად და ვედრებად ღვთისა მიმართ ჯელ-აღპყრობით. და შემდგომად ლოცვისა უპყრა ჯელი ყრმასა მას და, ვითარცა ძილისაგან, ეგრეთ აღადგინა იგი და მისცა დედასა მისსა. და ვითარცა იხილეს ყოველთა უცხო ესე სასწაული, განკვრდეს ფრიად და თქმად რასამე უღონო იყვნეს...*» (ქართლის ცხოვრება, 1955: 40). ამასთანავე, ანდრია პირველწოდებულმა სოსანგეთელებთან განშორებისას მხსნელის მომღვრების ერთგულთ თხოვნა აღუსრულა და მცველად ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი უბოძა, რომელიც ქრისტიანებმა ეკვდერში დაასვენეს, იმ ეკვდერში, რომელსაც აწყვერელები ძველ-ეკლესიად იხსენიებდნენ (ქართლის ცხოვრება, 1955: 41-42).

პავლე ინგოროყვამ ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ბერძნულ ტექსტში მოხსენიებული **სუსანია** (**Συσανία**) გაიაზრა, როგორც **სუსანეთი** (resp. **სოსანეთი**) და აღადგინა ბერძნული ფორმები *Σοισσανία ← *Σοισσανία (Susania ← Sosania) და ექვთიმე მთაწმინდელის ქართულ ტექსტში ნახსენები სოსანიგეთი-ს საფუძველზე ტოპონიმი **სუსანია**, სანების, ანუ სანიგების მხარის აღმნიშვნელად ჩათვალა, რომელთაც მკვლევარი ჭანებად მიიჩნევდა (ინგოროყვა, 1954: 225). ეპიფანე კვიპრელის ნაშრომში საქართველოს ზღვისპირა მხარეში მოსახლე «...სუსები...» სიმონ ყაუხჩიშვილის შეხედულებიერ თხზულები უნდა იყვნენ და ამდენად «...სუს[ს]ანია...» მეცნიერმა

ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე სვანეთად აღიარა (გეორგიკა, 1967: 113-114). ამასთანავე, ტოპონიმ **სოსანგეთი**-ს ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით, ირანისტალექსანდრე ჭულუხაძის მიერ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ეს ტოპონიმი შესაძლოა ნასესხები იქნა გვიანფალაური (გვიანდელი საშუალო სპარსული) ფორმიდან ***sōsanag** „შრომანის“ კნინობით-ალერსობითი ფორმიდან (-**ag** სუფიქსის მეშვეობით), რომელსაც ქართულში დაერთო ადგილის აღმნიშვნელი სახელების მაწარმოებელი სუფიქსი -**ეთ** და შედეგად, მივიღეთ ბუნებრივი ფონეტიკური ცვლილება: ***sōsanag-et>sosanget>სოსანგეთ** (ჭულუხაძე, 2008: 350).

ვფიქრობთ, ქართულად შედგენილ მატრიანეში წარმოდგენილი ტოპონიმი **სოსანგეთი** ნამდვილად საშუალო სპარსულიდან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ მისი ეტიმონი, ანუ ამოსავალი ფორმა უნდა იყოს არა ა. ჭულუხაძის მიერ ნავარაუდები **sōsanag-et>sosanget**, არამედ კომპოზიტი **sōsangeti**, რომელიც არ დასტურდება საშუალო სპარსულ წყაროებში, მაგრამ ლექსიკონებში წარმოდგენილია ამ სავარაუდო კომპოზიტის კომპონენტები **sōsan** „სოსან“ და **gyty** [gētīy] (MacKenzie, 1971: 75. მაკ კენზისთან ამ სიტყვის ტრანსკრიფციაა gētīg ib. MacKenzie, 1986: 36) „მატერიალურ სამყარო, მსოფლიო, წუთისოფელი“ (Skærvø, 2007: 14; Farevashi, 2001: 220). ასე რომ, **სოსანგეთი>*sōsangeti**-ის მნიშვნელობად ივარაუდება „შრომანას/სოსანას სამყარო“.

როგორც ვხედავთ, ტოპონიმ **სოსანგეთი**-ს ბოლოკიდური -ი ფუძისეულია, რადგან სავარაუდო საშუალო სპარსული კომპოზიტური ეტიმონის მეორე კომპონენტი არის **gyty** [gētīy] და არა **gyt** [gēt]. საფიქრებელია, რომ ქართულში ეს ბოლოკიდური -ი სახელობითი ბრუნვის ნიშნად იქნა აღქმული (შდრ. საქრის-ი, აწყვერ-ი და სხვ).

ამრიგად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტოპონიმი **სოსანგეთი** „შრომანას სამყაროს“ უნდა ნიშნავდეს. მოგეხსენებათ, მაცხოვარმა მოციქულები წარგზავნა, რათა მათ წარმართებისათვის ეცნობებინათ, რომ არსებობს მათთვის უცნობი სამყარო - სასუფეველი ღმრთისა: „და მი-რამ-ხვდეთ, ქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარმედ: *მოახლებულ არს სასუფეველი ცათა*“ (მათე, X, 7). **შრომანას/სოსანას** სამყარო - სიწმინდის სიმბოლოს გათვალისწინებით - **სოსანგეთი** იმგვარი ადგილის სახელწოდება უნდა იყოს, სადაც აღარ ბატონობს არც ეშმაკი, არც ცოდვა და არც სიკვდილი. უეჭველია, ისეთი სივრცე, სადაც ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი სუფევს და სიკვდილი დაითრგუნა, ღმრთის მადლმოსილებით აღვსილი სამყაროა.

ამდენად, შესაძლებლად გვესახება ტოპონიმი **სოსანგეთი** ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალის გამოვლინების ადგილისათვის მარადისქალწული მარიამის სიმბოლოს, სისპეტაკით გამორჩეული, თეთრი შრომანას სამყაროს გამომხატველ ტოპონიმად მივიჩნიოთ.

ცხადია, ქრისტიანები კერპთაყვანისმცემელთა კულტმსახურების დათრგუნვის მიზნით, წარმართული ღვთაების საპატივცემულოდ შერქმეულ გეოგრაფიული ადგილის სახელწოდებას - **საქრის**-ს მარადისქალწულის უბიწოებისა და სიწმინდის სიმბოლოს დაუირსპირებდნენ და ღმრთისმშობლის ხატის ძალმოსილების გამოვლინების სივრცეს ყვავილთა შორის სისპეტაკით გამორჩეულ შრომანას სამყაროდ მოიაზრებდნენ.

ასე და ამრიგად, ადგილის სახელწოდება, სადაც არტემიდეს ტაძარი მდებარეობდა **საქრისი**, ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალის გამოვლინების შედეგად წმიდა მარიამის თაყვანისმცემელთა მიერ იცვლება ქალწულობის სიმბოლოს - ყვავილ შროშანას ამსახველი სამყაროს სახელწოდებით **სოსანგეთი**, რომელსაც ბერძნები თავის მხრივ **სუსანია**-ს უწოდებდნენ.

გამოდის, რომ ქართულ მატრიანეში დადასტურებული **სოსანგეთი** და ბერძნულ წყაროში მოხსენიებული, ქართველთა ქვეყანაში არსებული **სუსანია**, ისევე როგორც **სოსანგელთა** სოფელი ერთი და იგივე პუნქტია. მამასადაძამე, ბერძნულ ენაზე შესრულებულ შრომებში ქართველთა ქვეყანაში მოხსენიებული **სუსანია** და **სოსანგელთა სოფელი** მტკვრის ხეობაში მდებარეობდა.

მამ ასე, იმ ადგილს, რომელსაც თავდაპირველად საქრისი ერქვა და ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალის გამოვლინების პატივსაცემად არამეულ ენაზე მეტყველი ქრისტიანისა და ქრისტეს მიმდევართა მეოხებით მარადის ქალწული მარიამის სიმბოლოს, ყვავილთა შორის სისპეტაკით გამორჩეული თეთრი შროშანას სამყაროს ამსახველი სახელი - **სოსანგეთი** ეწოდა, იმავე ადგილს, კერპთაყვანისმცემლები ტრადიციულად **საქრისს** უწოდებდნენ, რის გამოც ამ ადგილს გარკვეული პერიოდის განმავლობაში ერთდროულად წარმართები **საქრისს** უწოდებდნენ, ხოლო ქრისტიანები **სოსანგეთს**, მოგვიანებით კი სახელი რომ შეეცვალა, აწყვერი დაერქვა.

ასეთნაირად, წმიდა მარიამის საღმრთო ძალის გამოვლინების ადგილის სახელწოდების მიხედვით ირკვევა, რომ ქართულენოვან სამყაროში ქრისტიანული სიწმინდის აღმნიშვნელ ტერმინოლოგიას არამეულენოვანი სამყაროდან ქართველთა ქვეყანაში ქრისტიანული მოძღვრების საქადაგებლად მოღვაწე ქრისტეს რჯულის მიმდევარი ამკვიდრებს.

ამავდროულად, მნიშვნელოვნად გვესახება ის გარემოება, რომ ქრისტიანთათვის, წმიდანის გამოსახულების საშუალებით ღმერთთან გონებით მისაახლოებელი საგანი - ხატი, რომელიც სრულიად უცხო მოვლენა იყო წარმართული ქართულენოვანი სამყაროსათვის, არამეულ ენაზე **khati** - **ჩემს და**-ს ნიშნავს.

ამრიგად, საფიქრებელია, რომ ტერმინი **ხატი**, ხატზე გამოსახული წმიდანის მსაზღვრელი სიტყვა იყოს, რადგანაც **ხატი** წმიდანის თვისების გამომხატველი და მისი მადლით შემოსილი საგანია.

რამდენადაც წარმართთათვის სრულიად უცხო საკულტო საგანს არამეულად **ჩემი და** ეწოდება, გამოდის, რომ ხატზე მანდილოსანია გამოსახული.

ვინ უნდა ყოფილიყო მოციქულთა პერიოდში ის მანდილოსანი, რომელიც შეიძლება **ხატი**-ს სახით წარმოჩენილიყო ქრისტიანთა შორის და იგი თანამედროვეს დად მოეხსენებინა.

ნათქვამთან დაკავშირებით, უსათუოდ უნდა გავიხსენოთ, რომ მორწმუნენი ღმრთისმშობლის მოხსენიებისას წმიდა მარიამს მიმართავენ როგორც „და“-ს. იმისათვის, რათა თქმული დამაჯერებელი იყოს, რამდენიმე მაგალითს დავიმოწმებ: აი, როგორ არის მოხსენიებული V

საუკუნის ეთიოპიურ „მიძინების წიგნში“ წმიდა მარიამი: «...ო, დაო ჩვენო, შენ რომელიც გახდი დედა მთელი ქვეყნისა...» (Shoemaker, 2003: 314). «...მარიამ, ჩვენო დაო, რომელიც გახდი დედა თორმეტისა...» (Shoemaker, 2003: 316). «...ჩემო დაო მარიამ, არ შემძლია ამის აღება მანამ, სანამ არ მოვლენ მოციქულები, რადგან ისინი აქ არ არიან...» (Shoemaker, 2003: 317). «...მარიამ, ჩვენო დაო და ასევე დედაო ყველა მათგანის, ვინც გადარჩენილია, სიხარული იყოს შენთან...» (Shoemaker, 2003: 319). 540 წლის შედგომ ხანებში ბერძნულ ენაზე დაწერილ თხზულებაში „ნესტორის და ევტიხის წინააღმდეგ“ ვკითხულობთ: «...ღმრთისმშობელი, რომელიც არის ჩვენი და, თავისი ბუნებით...» (A patristic greek lexicon, 1961: 29). ღმრთისმშობელი „და-დ“ მოიხსენიება, აგრეთვე ქართულად შედგენილ საკითხავში, „გარდაცვალებისათვის წმიდისა ღმრთისმშობელისა“: «...დაო ჩვენო, რომელი იქმენ დედად ყოვლისა სოფლისა, დაღათუ ჩვენ ყოველთა გუემინოდის სამართლად, შენ რაღსა გემინის? — დედაჲ ხარ უფლისაჲ...» (კლარჯული მრავალთავი, 1991: 421).

ღმრთისმშობლის ჩემ და-დ მოხსენიების უფლება თავისი თავისათვის, მხოლოდ წმიდა მარიამის უახლოს პიროვნებას, მისდამი უაღრესი პატივისცემით განმსჭვალულ, ქრისტეს სწავლების მიმდევარს შეეძლო ეწოდებინა ანუ პირველი თაობის ქრისტიანს. ასეთები კი არამეულ ენაზე მეტყველი მოციქულები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ. ცხადია, ყოველივე თქმული ზედმიწევნით უნდა მიესადაგებოდეს საეკლესიო გადმოცემის თანახმად ქართულენოვან სამყაროში ღმრთისმშობლის ხატით მიმომავალ ანდრია პირველწოდებულს.

აღნიშნულის მიხედვით გამოდის, რომ არამეულ ენაზე მეტყველის ხელით ქართულენოვან სამყაროში ღმრთისმშობლის **ხატის** მისვენებისას არამეულ ენაზე წმიდა მარიამის, ღმრთისმშობლის მსაზღვრელი სიტყვით - **ხატი** (ესე იგი - **ჩემი და**) საფუძვლი ეყრება იმგვარი საგნის აღმნიშვნელ ტერმინს, რომელიც წმინდანის მადლითაა შემოსილი.

ასე რომ, ვფიქრობთ, ხატს ქართულ ენაზე სახელი არამეულ ენაზე მეტყველი პიროვნების მიერ **ჩემი და** - მარადისქალწული მარიამის მოხსენიების შესაბამისად ეწოდა და ასეთნაირად, ლექსემა **ხატი** ღმერთთან გონებით მისაახლოებელი საგნის აღმნიშვნელ ტერმინად ღმრთისმშობლის ხატის ქართველთა ქვეყანაში მობრძანების პერიოდში უნდა დამკვიდრებულიყო ქართულ ენაში.

მამასადამე, ვინაიდან, წმიდანთან გონებით მისაახლოებელ საგანს ქართულენოვან სამყაროში მოსახლე ქრისტიანებმა ღმრთისმშობლის მსაზღვრელი სიტყვა **ხატი** უწოდეს, ნათელია, რომ ქართველთა წინაპრები ხატს უწინარეს ყოვლისა წმიდა მარიამის ხატით ეზიარნენ. ამდენად, ცხადია, ჩვენს სამშობლოში ხატთაგან თავდაპირველად ღმრთისმშობლის **ხატი** მოუსვენებიათ.

ყოველივე თქმულის შემდგომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: **ხატი** ქართველთა ქვეყანაში პირველად ანდრია პირველწოდებულს მოუბრძანებია და პირველი **ხატი**, რომლის მეშვეობითაც ქართულენოვან სამყაროს მოსახლეობას ზოგადად წარმოდგენა შეექმნა ხატზე, ღმრთისმშობლის ხატი ყოფილა.

დასკვნა

მაშ ასე, ყოველივე თქმული საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში შემონახული ინფორმაცია ანდრია პირველწოდებულის ქართულენოვან სამყაროში ღმრთისმშობლის ხელ-თუქმნელი ხატის მობრძანების შესახებ ყალბისმქნელის ჩაწერილი არ არის და სინამდვილისათვის შეუფერებელ, გამოგონილ ამბავს არ გვაუწყებს.

მართალია, არაბული სიტყვა **khatt** - ხაზს, ხელწერას ნიშნავს, მაგრამ, რადგან ქრისტიანი არაბები წმიდანის მადლით შემოსილ საგანს ბერძნულენოვან სამყაროში შემუშავებული ტერმინის გავლენით მოიხსენიებენ, როგორც *ayqūnat un* (Арабско-русский словарь. 1970: 70), ცხადია, აზრად არავის მოუვა, რომ ქრისტიანულ სამყაროში, წმიდანის თვისების, ანუ მისი მადლით შემოსილი საგნის ამსახველი ტერმინი **ხატი** არაბულენოვანი სამყაროს ზეგავლენის შედეგად დამკვიდრებულიყო ქართულენოვან სამყაროში. ასე რომ, ვფიქრობთ, წმიდანის თვისების, ანუ მისი მადლით შემოსილი საგნის აღმნიშვნელი ტერმინი **ხატი** ნასესხობაა არამეული ენიდან და **ჩემ დას** ნიშნავს.

უეჭველია, ანდრია მოციქულის ქართულენოვან სამყაროში მიმოსვლისას ღმრთისმშობლის ხატის სასწაულებრივი ძალის გამოვლინების ადგილის, ღმრთისმშობლის სიმბოლოს - ყვავილთა შორის სისპეტაკით გამორჩეული თეთრი შროშანას სამყაროდ მოაზრებული არეალის შესაბამისი ტოპონიმით **სოსანგეთი** მოხსენიება და მაცხოვრის ანდა წმიდანის გამოსახულების საშუალებით უზენაესთან გონებით მისაახლოებელი საგნის სახელწოდება **ხატი** არამეულ ენაზე მეტყველი ანდრია პირველწოდებულის ქართველთა ქვეყანაში მოციქულთა პერიოდში მოღვაწეობის ისტორიულ ფაქტს უნდა ასახავდეს.

ყოველივე თქმულის თანახმად უდავოა, მიუხედავად იმისა, რომ ანდრია პირველწოდებულის ქართულენოვან სამყაროში მოღვაწეობის თაობაზე მოციქულთა პერიოდის ცნობა არ გაგვაჩნია, წარმართული ღვთაების საპატივცემულოდ შერქმეული გეოგრაფიული ადგილის **საქრისი**-ს სახელწოდების, ქრისტიანთათვის უმანკოებით და სიწმინდით გამორჩეული ღმრისმშობლის სიმბოლოს ამსახველი ტოპონიმით **სოსანგეთი**-თ ჩანაცვლება და ღმერთთან გონებით მისაახლოებელი საგნის სიტყვა - **ხატი**-თ მოხსენიება იმდენად მნიშვნელოვნად გვესახება, რომ ქართულენოვანი სამყაროს მოსახლეობის ცნობიერებაში შესისლხორცეული, ღმერთთან მისაახლოებელი ცნების აღმნიშვნელი ლექსემის ხსენება - სიტყვით **ხატი** და ასეთნაირად, სიტყვა **ხატი**-ს ქართულ ენაში დამკვიდრება ანდრია მოციქულის ქართულენოვან სამყაროში მოღვაწეობის ამსახველად გვესახება, რაც ყოველგვარ წერილობით უწყებას უნდა აღემატებოდეს.

მადლიერება. უღრმეს მადლობას მოვახსენებ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის კათედრის ასოცირებულ პროფესორ ფატი ანთაძეს საშუალო სპარსული ენის საკითხებში გარკვევისათვის.

შენიშვნა

* მაკ კენზისთან ამ სიტყვის ტრანსკრიფციაა gētīg [MacKenzie, 1986, გვ. 36]

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

A patristic greek lexicon. (1961) Oxford.

Arabsko-russki slovar. (1970). Red. Baranov X.K. Moskva. (*Арабско-русский словарь*, (1970) ред. Баранов Х. К. Москва.).

choloqashvili b. (2008). *kartulenovani eklesi—akhali ierusalimi*.tbilisi. (წოლოყაშვილი ბ. (2008). *ქართულენოვანი ეკლესია — ახალი იერუსალიმი*. თბილისი.)

choloqashvili b. (2022). *kartulenovan samqaroshi kristes modzgvrebis gavrtselebis epokis gansazgvrisatvis. analebi.* № 18. (წოლოყაშვილი ბ. (2022) ქართულენოვან სამყაროში ქრისტეს მოძღვრების გავრცელების ეპოქის განსაზღვრისათვის. *ანალები*. № 18)

chulukhadze. a. (2008). *shota rustavelis poema “vepkhistqaosnis” iranul nas-eskhobata etimologia da semantika.* Sadoktoro disertatsia. teiranis universiteti.(khelnatseris uplebit sparsul enaze). teirani. (ჭულუხაძე ა, (2008). *შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსნის“ ირანულ ნასესხობათა ეტიმოლოგია და სემანტიკა*. სადოქტორო დისერტაცია, თეირანის უნივერსიტეტი, (ხელნაწერის უფლებით სპარსულ ენაზე). თეირანი).

epipane konstantinepoleli. (1941). *georgika.* t.IV. nak. I. berdznulli teqsti kartuli targmaniturt gamostsa da ganmartebebi daurto s. qaukhchishvilma. tbilisi. (ეპიფანე კონსტანტინეპოლელი. (1941). *გეორგიკა*. ტ. IV. ნაკ. I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი.)

epipane kvipreli. (1967). *georgika.* t.VII. teksti kartuli targmaniturt gamostsa da ganmartebebi daurto s. qaukhchishvilma. tbilisi. (ეპიფანე კვიპრელი. (1967). *გეორგიკა*. ტ. VII. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი).

Farevashi, B., A (2001) *Pahlavi-Persian Dictionary.* Tehran University Press. Tehran,

georgika. (1967). t.VII. teksti kartuli targmaniturt gamostsa da ganmartebebi daurto s. qaukhchishvilma. tbilisi. (გეორგიკა. (1967) ტ. VII. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბილისი).

ingoroqva, p. (1954). *giorgi merchule.* tbilisi. (ინგოროყვა, პ. (1954) *გიორგი მერჩულე*. თბილისი.)

kartlis tskhovreba. (1955). t. I. teksti dadgenili qvela khelnatseris mikhedvit s. qaukhchishvilis mier. tbilisi. 1955. (ქართლის ცხოვრება. (1955). ტ. I. ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი.)

klarjuli mravaltavi. (1991). *teksti gamosatsemad moamzada da gamokvleva daurto t.mgaloblishvilma.tbilisi.* (კლარჯული მრავალთავი. (1991). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თ.მგალობლიშვილმა. თბილისი.)

MacKenzie, D. N. A (1986) *Concise Pahlavi Dictionary,* London: Oxford University Press.

moktsevai kartlisai. sinuri N/SIN-50. (2009). tsminda ninos tskhovreba da kartlis moktseva. tbilisi. gamotsa z. aleksidzem. (მოქცევაჲ ქართლისაჲ. სინური N/Sin-50. (2009), წმინდა ნინოს ცხოვრება და ქართლის მოქცევა. გამოსცა ზ. ალექსიძემ. თბილისი.)

nikita pafagonieli. (2008). mimosvla andria motsikulisa. dzveli kartuli targmanis teksti gamosatsemad moamzada da gamokvleva daurto m. kobiashvilma. tbilisi. (ნიკიტა პაფლაგონიელი. (2008) მიმოსვლა ანდრია მოციქულისა, ძველი ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო მალხაზ კობიაშვილმა. თბილისი.)

orbekiani, sulxhan-saba. (1993). leksikoni kartuli. t. II.tbilisi. (ორბელიანი, სულხან-საბა. (1993). ლექსიკონი ქართული. ტ. II. თბილისი.)

Prods Oktor Skærvø. (2007). Introduction to Pahlavi.

Shoemaker Stephen J. (2003). Ancient Traditions of the Virgin Mary's Dormition and Assuption. Oxford.